ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1870262

ნომერი: AR1303217

თარიღი : 22.04.2015

გაცემის თარიღი : 01.05.2015

გაცნობის თარიღი : 01.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე სამადაშვილი პ/ნ 01017000734
- თბილისი არსენას ქ. N 32

ორგანიზაცია:
- შპს "ჯორჯია მედია იქსჩეინჯი" კოდი: 204574399

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ,,ჯორჯია მედია იქსჩეინჯი"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 204574399

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა ტატიშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ თქვენს მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში კვლავ იქნა გამოვლენილი ხარვეზები, კერძოდ:

1. კვლავ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი არქიტექტურული პროექტი და წარმოდგენილ გენგეგმაზე არ არის დატანილი საკადასტრო საზღვრები;
2. წარმოდგენილი უნდა იქნეს კონსტრუქციული დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და, იმ შემთხვევაში, თუ ბანერის შეცვლის სამუშაოები ითვალისწინებს კოსტავას ქ. N27–ში მდებარე უძრავი ძეგლის კედელზე ან/და შესაბამის სარეკლამო კონსტრუქციაზე რაიმე სამუშაოებს, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი კონსტრუქციული ნაწილი;
3. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის თანახმად, "უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას". საპროექტო დოკუმენტაცია შესრულებული უნდა იქნეს რეკლამის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.